განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
17.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

27.07.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245628496 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატის შემდგომი განათლება |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | არ ენიჭება |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0114 |
| ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნების/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში) | დაწყებითი, საშუალო, საბაზო საფეხური მუსიკის მასწავლებელი |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან თაყაიშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შალვა მესხი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის მასწავლებლის მომზადებას ისახავს მიზნად და მისი ყველა კომპონენტი ამას ემსახურება: პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეჯერება, მეთოდური საფუძვლის შექმნა, ღირებულებათა და პროფესიის ხედვის სისტემის ჩამოყალიბება, კონკრეტული ქმედებებისა და აქტივობების სწავლება როგორც ზოგად პედაგოგიურ და განსაკუთრებით, ზოგადი სამუსიკო განათლების სფეროში. ვიზიტის შემდეგ გამოიკვეთა თანამედროვე ხედვის შესაბამისი მუსიკის მასწავლებლის სახე.

პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სილაბუსები და პერსონალის შემადგენლობა პოზიტიურ, დადებით წარმოდგენას ქმნის პროგრამის შესახებ, რაც დოკუმენტაციის გაცნობით, შემდეგ კი ვიზიტის დროს დადასტურდა.

პროგრამის შექმნისას გათვალისწინებული იყო მომიჯნავე პროგრამის გამოცდილება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის, შიდა და გარე შეფასების, კვლევების შედეგები.

პროგრამა იყოფა პედაგოგიურ (25 კრედიტი) და საგნობრივ ბლოკებად (35 კრედიტი) და წარმოადგენს საგნის სწავლების პედაგოგიური, თეორიული და პრაქტიკული მხარეების ნაზავს.

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები, მეთოდები, ასევე აკადემიური და მიწვეული პერსონალი შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას გამოიკვეთა ერთი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, რისი გათვალისწინებაც დახვეწს და გააუმჯობესებს პროგრამას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გამოგზავნილ დოკუმენტაციას, და ვიზიტამდე 2 დღით ადრე Zoomპლატფორმაზე ცენტრის თანამშრომლის

ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა ჯგუფის წევრთა პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართ, ასევე დაისვა შეკითხვები, რომელთა ნაწილი უნდა დაზუსტებულიყო უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტის დროს. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა შორის თავიდანვე კოლეგიალური, პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

17 ივნისს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიცწინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით წარიმართა, რამდენიმე მონაწილე Zoom-ით ჩაერთო ინტერვიუს მსვლელობაში, ზოგიერთმა მონაწილემ საპატიო მიზეზის გამო ვერ მოახერხა დასწრება.
აკრედიტაციის ვიზიტი კეთილგანწყობილ, თანამშრომლობით ატმოსფეროში წარიმართა.

✓ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები, მეთოდები, ასევე აკადემიური და მიწვეული პერსონალი შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას გამოიკვეთა რამდენიმე რჩევა და ერთი რეკომენდაცია.

▪ **რეკომენდაციები**

დოკუმენტაციის გაცნობისა და ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ერთი რეკომენდაცია, რომელიც მისაღები გამოცდების ფორმატს ეხება:

- **რეკომენდებულია მისაღები გამოცდების ფორმატის გამარტივება და აპლიკანტებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.**

მისაღები გამოცდების ფორმატი გადატვირთულია, მოიცავს ორ ნაწილს - ესსესა (ახლავს კრიტერიუმების ჩამონათვალი) და გაკვეთილის ჩატარებას, მათიპირობები კი უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდებამდე რამდენიმე დღით ადრე განთავსდება.

ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსალოდნელია ორი ტიპის აპლიკანტისრეგისტრაცია:

1. მათ უმეტესობას წარმოადგენენ მუსიკის მოქმედი მასწავლებლები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია სტატუსის კორექტირებაა
2. პირები, რომლებიც პროგრამის გავლის შედეგად გახდებიან მუსიკის მასწავლებლები.

გამოცდაზე გაკვეთილის სიმულაციის მოთხოვნით, აპლიკანტთა ამ ორი ტიპის წარმომადგენლები არათანაბარ პირობებში ხვდებიანსწავლების გამოცდილების მიხედვით.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია:

- მისაღები გამოცდების ფორმაში ინფორმაციის განთავსება კონსულტაციების შესახებ;
- ფორტეპიანოსთან ერთად, სხვა საკრავების, როგორც არჩევითი საგნების სილაბუსების შემუშავება და დამატება პროგრამაში;
- სასურველია, სასწავლო კურსებში -მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა აისახოს და სილაბუსშიც გამოვლინდეს მათი ორიენტაცია მასწავლებლის აღზრდის პრაქტიკულ მხარეზე;
- კურსების - განათლების ფსიქოლოგია, მუსიკის თეორიის სწავლების მეთოდიკა, სამუსიკო ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, მუსიკის დიდაქტიკა და რიტმიკა სასწავლო მასალას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა;
- სავალდებულო საკრავის - ფორტეპიანოს სილაბუსში მასწავლებლის საქმიანობიდან გამომდინარე დასამატებელია - შეუძლია საკუთარი ან სხვისი სიმღერის, საკრავზე შესრულების აკომპანირება;
- მუსიკის სწავლების სტანდარტის, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკის სილაბუსში შეფასების კომპონენტები და რუბრიკები არათანმიმდევრულია;
- კურსიდან შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში სწავლების პრაქტიკული შედეგები, სასურველია, გადავიდეს პედაგოგიური პრაქტიკის კურსებში;
- დეპარტამენტში შედგენილი პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ ბაზაში და დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე, სასურველია, აისახოს სილაბუსებშიც;
- სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის მესვეურებმა ხელი შეუწყონ მიწვეულ პერსონალს კარიერულ წინსვლაში. დასაზუსტებელია ასევე სხვა უსდ-ში აკადემიური პოზიციის მქონე პერსონალის სტატუსიც;
- პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტთა ეფექტიანი მუშაობისათვის: 1) ამოქმედდეს კორპორაციული მეილების სისტემა და 2) გამარტივდეს წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე;
- გაიწეროს, როგორ ხდება სწავლების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და გათვალისწინება;

- ლექციაზე დაკვირვების ფორმა ამოღებულ იქნას დოკუმენტაციიდან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობების მიხედვით, რაც აღნიშნულ სფეროში ბაკალავრისა ან მაგისტრის ხარისხს და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების მიზნით გამოცდის ჩაბარებას გულისხმობს, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისათვის სწორედ პედაგოგიური გამოცდილების მიცემაზე და მიზნად ისახავს:<br><br>*პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის* ***მასწავლებლის მომზადება,*** *რომელიც ფლობს თეორიულ ცოდნას, პროფესიულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, საგნის სწავლების მეთოდიკას, სწავლება-სწავლის თანამედროვე სტრატეგიებსა და ძირითად პრინციპებს.პროგრამა ხელს უწყობს სამუსიკო პედაგოგიკის განვითარების მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, სპეციალისტის რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას.*<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითსაგანმანათლებლო პროგრამა მართლაც მუსიკის მასწავლებლის მომზადებას ისახავს მიზნად და მისი ყველა კომპონენტი ამას ემსახურება: პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეჯერება, მეთოდური საფუძვლის შექმნა, ღირებულებათა და თანამედროვე ხედვის სისტემის ჩამოყალიბება, კონკრეტული ქმედებებისა და აქტივობების სწავლება |

| |
|---|
| როგორც ზოგად პედაგოგიურ და განსაკუთრებით, ზოგადი სამუსიკო განათლების სფეროში. დოკუმენტაციის გაცნობისა და ვიზიტის შემდეგ იკვეთება თანამედროვე ხედვის შესაბამისი მუსიკის მასწავლებლის სახე.პროგრამაში საგნის სწავლების თეორიული და პრაქტიკული მხარეების შეჯერებით მასწავლებელს ეძლევა მუსიკის, როგორც მრავალმხრივი საგნის წარმართვის ტექნიკის ფლობის შესაძლებლობა.<br><br>პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სილაბუსები და პერსონალის შემადგენლობა პოზიტიურ, დადებით წარმოდგენას ქმნის პროგრამის შესახებ, რაც დოკუმენტაციის გაცნობით, შემდეგ კი ვიზიტის დროს დადასტურდა.<br><br>პროგრამისმიზანისრულშესაბამისობაშიაუნივერსიტეტისმისიასთანდასტრატეგიულიგანვითარებისგეგმასთან (ასევე, თანხვედრაშიამუსიკისფაკულტეტისდებულებასთანდასტრატეგიულიგანვითარებისგეგმასთან), რომელიცგულისხმობსკვალიფიციურიდაკონკურენტუნარიანისპეციალისტებისმომზადებას, სტუდენტთაპიროვნულიპოტენციალისრეალიზებისხელშეწყობასადაშემოქმედებითიუნარ-ჩვევებისგანვითარებასაკადემიურისაგანმანათლებლოპროგრამებისგანხორციელებისგზით. პროგრამის შექმნისას გათვალისწინებული იყო მომიჯნავე პროგრამის გამოცდილება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის, შიდა და გარე შეფასების, კვლევების შედეგები.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები, მეთოდები, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს.<br><br>პროგრამის მიზნის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები. ბაზრის კვლევა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და ზეპირი ინტერვიუების გზით.<br><br>როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, მისი განხორციელებით, სამომავლოდ, შესაძლებელი იქნება სფეროში არსებულიკადრების დეფიციტის ეტაპობრივად დაძლევა.<br>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება სერტიფიკატი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ბხსუ-სმისია, მიზნებიდასტრატეგიულიგანვითარებისგეგმა; |

- ფაკულტეტისდებულებადასტრატეგიულიგანვითარებისგეგმა;
- მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;
- პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;
- უნივერსიტეტისვებგვერდი (www.batu.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, კერძოდ, მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. ასევე შესაბამისობაშიაპროგრამის დარგობრივ მახასიათებელსა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერთან.

სწავლის შედეგები ელექტრონულიფორმით განხორციელებულიდამსაქმებელთა, სტუდენტთაგამოკითხვებითფასდება, რითაცკიდევერთხელმოწმდებაპროგრამისკომპეტენციებისშესაბამისობა. საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურიგანხორციელებისადაგანვითარებისხელშეწყობასადამონიტორინგსკოორდინირე ბასუწევსუნივერსიტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახური.

პროგრამის სტრუქტურა, მასში შემავალი კურსები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მათ რეალისტურობას ადასტურებს სწავლის შედეგების რუკა. სწავლის შედეგები თანხვედრაშია მიზნებთან, ზოგადად, მასწავლებლის მომზადებისათვის განსაზღვრულ ზოგად შედეგებთან ერთად ასახავს მუსიკის სფეროს მახასიათებლებს,საგნის სპეციფიკას, რაც ეხება საშემსრულებლო (დროსა და სივრცეში განფენილ პროცესში მონაწილეობის) უნარებისჩამოყალიბება-განვითარებას და მეთოდიკის ცოდნას.
პროგრამას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ეყრდნობა მომიჯნავე პროგრამის ფუნქციონირების გამოცდილებას.
რამდენადაა მიღწეული სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ისინი თანამედროვე მოთხოვნებსა და საჭიროებებს, განისაზღვრება შემდეგი სახით:

- საგანმანათლებლოპროგრამაშისწავლისშედეგებისრუკისმიხედვითშეფასებისსხვადასხვამე თოდისადეკვატურობისგანსაზღვრადარეკომენდაციებისგაწევა;
- ლექციებსადაპრაქტიკულმეცადინეობებზედასწრება, რომელიციძლევასაშუალებას, განისაზღვროსშეფასებისმეთოდებისადაგანხორციელებისრელევანტურობა (ხორციელდება 2018-2019 სასწავლოწლიდან);
- მიმდინარეშეფასებისადაგამოცდებისანალიზი, რომელიციძლევაწარმოდგენასსწავლისშედეგებისმიღწევისთაობაზე;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიურიპერსონალის, დამსაქმებელთაგამოკითხვები.

სწავლისშედეგებისშეფასებისასგამოიყენებაროგორცპირდაპირი (მაგალითად, სტუდენტთააკადემიურიშეფასებებისანალიზი), ასევეარაპირდაპირი (მაგალითად, სტუდენტთაგამოკითხვა) შეფასებისმეთოდები. პროგრამის აკადემიური და მოწვეული

| |
|---|
| პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.<br><br>პროგრამაშისწავლისშედეგებიასეთი სახითაა ჩამოყალიბებული:<br>• ცოდნა-გააზრება<br>• პრაქტიკულიდასხვაუნარი<br>• დამოკიდებულებებიდაღირებულებები<br><br>მათი შინაარსი მუსიკის მასწავლებლის კომპეტენციას აღწერს სრულად.<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რჩევები კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსების შედეგებთან დაკავშირებით:<br>• სასურველია, სასწავლო კურსებში -მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკააისახოს და გამოვლინდეს მათი ორიენტაცია მასწავლებლის აღზრდის პრაქტიკულ მხარეზე.<br>• სავალდებულო საკრავის, ფორტეპიანოს სილაბუსში, მასწავლებლის საქმიანობიდან გამომდინარე დასამატებელია - შეუძლია საკუთარი ან სხვისი სიმღერის, საკრავზე შესრულების აკომპანირება.<br>• კურსიდან *შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში* სწავლების პრაქტიკული შედეგები,სასურველია, გადავიდეს პედაგოგიური პრაქტიკის კურსებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;<br>• პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;<br>• სასწავლოპროცესებისმარეგულირებელიწესი;<br>• შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>• დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი (www.batu.edu.ge) |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია, სასწავლო კურსებში - მუსიკის თეორიის სწავლების მეთოდიკა, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა აისახოს და გამოვლინდეს მათი ორიენტაცია მასწავლებლის აღზრდის პრაქტიკულ მხარეზე.<br>• სავალდებულო საკრავი ფორტეპიანოს სილაბუსში მასწავლებლის საქმიანობიდან გამომდინარე დასამატებელია - შეუძლია საკუთარი ან სხვისი სიმღერის, საკრავზე შესრულების აკომპანირება.<br>• შესავალიპედაგოგიურპროფესიაშიკურსიდან |

სწავლებისპრაქტიკულიშედეგები,სასურველია, გადავიდეს პედაგოგიური პრაქტიკის კურსებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიანეროვნულისასწავლოგეგმისშესაბამისიდარგისბაკალავრის, მაგისტრისანმათთანგათანაზრებულიაკადემიურიხარისხისმქონეპირები, რომელთაცმუსიკის საგნობრივიკომპეტენციადადასტურებულიაქვთშეფასებისადაგამოცდებისეროვნულიცენტრისმიერორგანიზებულიგამოცდით.

უნივერსიტეტის მხრიდან, მასწავლებლისმომზადებისპროგრამაზეჩარიცხვისათვისაუცილებელიაუნივერსიტეტისმიერგანსაზღვრულიგამოცდისჩაბარებასპეციალობაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გასაგებად და დეტალურად გაწერილია „პროგრამაზე დაშვების წინაპირობასა“ და „მისაღები გამოცდის ფორმაში“.

უნივერსიტეტის შიდა მისაღები გამოცდების პროგრამა ორი ნაწილისგან შედგება. პირველია არგუმენტირებული ესსე, რომელიც დეტალურად გაწერილი ცხრა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება. მეორე ნაწილი პრაქტიკულია, აპლიკანტებს მოეთხოვებათ წინასწარ მომზადებული 30-წუთიანი გაკვეთილის ჩატარება. დეტალურია გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებიც. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ დამაზუსტებელი ინფორმაცია გამოცდის თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდება.

ექსპერტთა აზრით,გამოცდის ფორმატი გადატვირთულია. ასევე, მისი პრაქტიკული ნაწილი - გაკვეთილის ჩატარება არათანაბარ პირობებში ჩააყენებს აპლიკანტების ორ ძირითად ჯგუფს, რომლებიც 1) ამ დროისთვის უკვე ასწავლიან და მთავარი მოტივაცია მათი სტატუსის კორექტირებაა; 2) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას გახდებიან მასწავლებლები. მით უმეტეს, რომ სწავლების გამოცდილება მათ საგანმანათლებლო პროგრამის გავლისას უნდა შეიძინონ, რასაც პროგრამის მიზანიც ადასტურებს -*პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის* ***მასწავლებლის მომზადება,*** *რომელიც ფლობს თეორიულ ცოდნას, პროფესიულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, საგნის სწავლების მეთოდიკას, სწავლება-სწავლის თანამედროვე სტრატეგიებსა და ძირითად პრინციპებს.პროგრამა ხელს უწყობს სამუსიკო პედაგოგიკის განვითარების მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, სპეციალისტის რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას.*

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისაღები გამოცდების ფორმატი უნდა გამარტივდეს და აპლიკანტებს მიეცეთ თანაბარ პირობებში წარდგენის საშუალება.

უნივერსიტეტი გეგმავს, გამოცდებამდე კონსულტაციები ჩაუტაროს აპლიკანტებს, რის შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული მისაღები გამოცდების დოკუმენტში. სასურველია, მითითება და აპლიკანტებისათვისინფორმაციის მიწოდება.

ჯერ არ არის ზუსტად განსაზღვრული, რამდენ სტუდენტს მიიღებს პროგრამა, მისაღებ კონტიგენტს დაამტკიცებს უნივერსიტეტი.

ვინაიდან პროგრამა ახალია და აკრედიტაცია ჯერ არ გაუვლია, მასზე დაშვების წინაპირობები ვებგვერდზე განთავსებული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;
- მისაღები გამოცდის ფორმა, შეფასების კრიტერიუმები და საგამოცდო საკითხები;
- პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;
- უნივერსიტეტისვებგვერდი(www.batu.edu.ge)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია მისაღები გამოცდების ფორმატის გამარტივება და აპლიკანტებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მისაღები გამოცდების ფორმაში კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის დამატება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მუსიკის მასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამაშედგენილიაბათუმის ხელოვნების სასწავლოუნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესისგამოყენებით. პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისადაა შემუშავებული.

პროგრამისსტრუქტურაშიგათვალისწინებულიაპროგრამაზედაშვებისწინაპირობები (ჩარიცხვისწესი) დასწავლისშედეგები.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ერთი სასწავლო წლის (ორი სემესტრის) განმავლობაში. პროგრამისკურსდამთავრებულმაუნდადააგროვოს 60 კრედიტი. აქედან 25 კრედიტიეთმობასავალდებულო პედაგოგიურ კურსებს, 35კრედიტი – დარგობრივ ბლოკს, სამუსიკო ხელოვნებას. პროგრამაშიგათვალისწინებულიაპრაქტიკულიკომპონენტი 10კრედიტისოდენობით, რომელიციყოფასაჯარო სკოლაში (7 კრედიტი) და სამუსიკო სკოლაში (3 კრედიტი) პრაქტიკებად. პრაქტიკა მეორე სემესტრშია გათვალისწინებული და ის ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის გადატანას პროფესიულ საქმიანობაში.

პროგრამასტრუქტურირებულია, მთლიანად შედგება სავალდებულოსაგნებისაგან,დაყოფილია სემესტრებისმიხედვით.

პროგრამისთვითშეფასების ჯგუფმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ პროგრამის შედგენისას გაითვალისწინეს სკოლის მოლოდინები და დამსაქმებლის მოთხოვნები, ასევე, გაიზიარეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შესაბამისი პროგრამის მაგალითი, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს ოსლოს მუსიკის აკადემიასთან თანამშრომლობის

| |
|---|
| შედეგებს. აკადემიურდამოწვეულპერსონალსკარგად აქვსგაცნობიერებულიქართულსაგანმანათლებლოსივრცეშიაღნიშნულიპროგრამისმნიშ ვნელობა და აჭარის რეგიონში მუსიკის კვალიფიციური მასწავლებლების მოთხოვნა. საჯარო სკოლაში პრაქტიკის ფარგლებში პროგრამის სტუდენტებს შეეძლებათ, დაეხმარონ იმ ადამიანებს, ვისაც არ აქვს სათანადო მუსიკალური განათლება, მაგრამ მუსიკის მასწავლებლებად მუშაობენ რეგიონის სკოლებში.<br>პროგრამაში სავალდებულო კურსის სახითაა ფორტეპიანოს კურსი, თუმცა, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ გეგმავენ, არ დატოვონ ერთადერთი სავალდებულო საკრავის შესაძლებლობა და არჩევითი საგნების სახითდაამატონგიტარა, ხალხური საკრავები. სასურველია, არჩევითი საგნების სილაბუსებიც იყოს წარმოდგენილი პროგრამაში.<br><br>პროგრამისშემუშავებაშიჩართულიიყოსხვადასხვადაინტერესებულიმხარე, ინტერვიუების დროს გამოიკვეთამომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულების გათვითცნობიერებულობაპროგრამისდეტალებშიდაასევედამსაქმებელთაინტერესიმუს იკის მასწავლებლის მომზადების ამახალიპროგრამისადმი. სკოლების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლებს აქვთ ვაკანსიები და მზად არიან მიიღონ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები, რადგან მომიჯნავე პროგრამის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი - გამოცდილებიდან გამომდინარე, ახალი პროგრამით მომზადებული მასწავლებელი დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.<br>პროგრამისშინაარსიუზრუნველყოფსსწავლისშედეგებისმიღწევას.<br>მისანიჭებელიკვალიფიკაცია – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის მასწავლებელი – შესაბამისობაშიაპროგრამისშინაარსთანდასწავლისშედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;<br>• სწავლის შედეგების რუკა;<br>• ბათუმისხელოვნებისსასწავლოუნივერსიტეტისსასწავლოპროცესებისმარეგული რებელიწესი;<br>• პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;<br>• ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ფორტეპიანოს კურსის გარდა, სხვა საკრავების, როგორც არჩევითი საგნების სილაბუსების შემუშავება და დამატება პროგრამაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროსთითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მუსიკის მასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოკურსებისსწავლისშედეგებითანხვედრაშიაპროგრამისსწავლისშედეგებთან.

ცალკეულიკურსებისშედეგებიერთადქმნისპროგრამისსწავლისსაბოლოოშედეგებს.

პროგრამისსასწავლოკურსებისშინაარსიდაკრედიტებისრაოდენობაშეესაბამებაამკურსებ

ისსწავლისშედეგებს.

ექსპერტების ჯგუფმა შეიმუშავა რჩევები ცალკეული კურსების სილაბუსებთან დაკავშირებით. კერძოდ, კურსების -მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა,ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა - სილაბუსების წაკითხვისასრჩებაშთაბეჭდილება, თითქოსკურსი ნაკლებადაამიმართულიმასწავლებლის აღზრდაზე. თუმცა სასწავლო კურსების წამყვანი პედაგოგების პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე და, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს დაზუსტდა მათი ორიენტაცია პრაქტიკაზე, რაც სასურველია, ამ სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა, ძირითადად,ემყარება დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, სასურველია ლიტერატურის განახლება. სილაბუსებისნაწილშიძველილიტერატურაამითითებული, მაგალითად, *მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა, სამუსიკოფსიქოლოგიადაპედაგოგიკა*.ლიტერატურაშესავსებია*მუსიკისდიდაქტიკისადა რიტმიკის* მიმართულებით.

განვითარების ფსიქოლოგიის კურსისთვის კარგადაა შერჩეული ასაკობრივი პერიოდები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლის მომზადების პროგრამაში, თუმცა, შერჩეული სახელმძღვანელო მოძველებულიცაა და ნაკლებად ფარავს აღნიშნულ ასაკობრივ პერიოდებს. სახელმძღვანელოსთან ერთად კურსის ლიტერატურაში დასახელებულია ლექტორის მიერ შედგენილი რიდერი, რომელიც ამავე სახელმძღვანელოს და ასევე საკმაოდ მოძველებულ წყაროებს ეყრდნობა. აღნიშნული რიდერი ელექტრონული ფორმით ინახება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. როგორც კურსის ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა ინტერვიუს დროს, სახელმძღვანელოს გარდა, სწავლებისას იყენებენ ვიდეომასალებსაც, რომლებიც არაა სილაბუსში ასახული.ვფიქრობთ, სასურველია, რომ სასწავლო მასალაში 2005 წლის შემდეგ გამოცემული სახელმძღვანელოებიც იყოს შეტანილი.

სავალდებულო საკრავის - ფორტეპიანოს სილაბუსში, სპეციფიკისგათვალისწინებით, დასამატებელი იქნება - შეუძლიასაკუთარიანსხვისისიმღერის, საკრავზეშესრულებისაკომპანირება.

მუსიკისსწავლებისსტანდარტის, ქართული ხალხურისიმღერის სწავლების მეთოდიკის სილაბუსში კომპონენტებიდარუბრიკებიარათანმიმდევრულია და კორექტირებას საჭიროებს.

| |
|---|
| კურსის *შესავალიპედაგოგიურპროფესიაში* - სწავლებისშედეგებში ჩამოთვლილია ბევრი სპეციფიკური პრაქტიკული უნარი, მაშინ როცა კურსი, ძირითადად, თეორიულია. თეორიულად გავლილი საკითხები პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას გარკვეულწილად შეუწყობს ხელს, მაგრამ არასაკმარისი მტკიცებულებაა იმისათვის, რომ სტუდენტი მიაღწევს სწავლის ამ შედეგს. ამიტომ, მიგვაჩნია, უმჯობესი იქნებოდა, თუ ეს სწავლის შედეგები დაუკავშირდებოდა სკოლაში პრაქტიკის კურსს, რომელიც გავლილი თეორიული მასალის პრაქტიკაში გადატანის მისცემს აძლევს სტუდენტს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;<br>• პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;<br>• უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;<br>• საგნებისსილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, სასწავლო კურსებში -მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკააისახოს და გამოვლინდეს მათი ორიენტაცია მასწავლებლის აღზრდის პრაქტიკულ მხარეზე.<br><br>კურსების - განათლების ფსიქოლოგია, მუსიკის თეორიის სწავლების მეთოდიკა, სამუსიკო ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, მუსიკის დიდაქტიკა და რიტმიკა სასწავლო მასალას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა.<br><br>სავალდებულოსაკრავიფორტეპიანოსსილაბუსშიმასწავლებლის საქმიანობიდან გამომდინარე დასამატებელია - შეუძლიასაკუთარიანსხვისისიმღერის, საკრავზეშესრულებისაკომპანირება.<br><br>მუსიკისსწავლებისსტანდარტის, ქართულიხალხურისიმღერისსწავლებისმეთოდიკისსილაბუსშიკომპონენტებიდარუბრიკებიარათანმიმდევრულია და კორექტირებას საჭიროებს.<br><br>შესავალიპედაგოგიურპროფესიაშიკურსიდან სწავლებისპრაქტიკულიშედეგები,სასურველია, გადავიდეს პედაგოგიური პრაქტიკის კურსებში. |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მუსიკის მასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამაუზრუნველყოფსსტუდენტთაპრაქტიკული, შემოქმედებითიდატრანსფერულიუნარებისგანვითარებას. უნივერსიტეტშიხშირად ტარდება კონცერტები, წარმოდგენები სტუდენტების მონაწილეობით,ეწყობაშეხვედრები(პირისპირ ან ონლაინ) ცნობილ მუსიკოსებთანდამომღერლებთან. რეგულარულად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, უნივერსიტეტი ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. ინფორმაციაქვეყნდებაუნივერსიტეტისვებგვერდზე, მუსიკის ფაკულტეტის განყოფილებაში. უნივერსიტეტში სწავლის პროცესში სტუდენტს საშუალება აქვს, თვალი ადევნოს და მონაწილეობა მიიღოს დასახელებულ ღონისძიებებზ, რაც მისი პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

| |
|---|
| ტრანსფერული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.<br><br>უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა სახის ადგილობრივ თუ საერთაშორისო შემოქმედებით პროექტებში. როგორც ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტი მათაც ეხმარება საერთაშორისო კონკურსებისთვის მომზადებაში. უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერიის მიერ კულტურის სფეროში გამოცხადებულ საკონკურსო პროგრამებში.<br>პროგრამაშისავალდებულოსტატუსიგააჩნიაპრაქტიკას, რომელიცმოიცავს 10კრედიტს – 3კრედიტისამუსიკო სკოლაში პრაქტიკა და 7 კრედიტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პრაქტიკა.შესაბამისსილაბუსებშიგაწერილიააქტივობები, რომელიცუნდაშეასრულოსსტუდენტმა. სტუდენტები მემორანდუმის საფუძველზე სასწავლო პრაქტიკას გადიან ბათუმის საჯარო და სახელოვნებო სკოლებში. პრაქტიკისდროსსტუდენტი ატარებს 4 საცდელ გაკვეთილს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და ერთ აღმზრდელობით ღონისძიებას. აქვე აღსანიშნავია, რომ სამუსიკო სკოლაში პრაქტიკა საგუნდო კლასშია დაგეგმილი, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის საჭირო გუნდთან მუშაობის გამოცდილებას შესძენს მათ.<br><br>სკოლებში პრაქტიკისფარგლებშიშესაძლებელიაპრაქტიკულიდატრანსფერულიუნარებისგანვითარება. უნივერსიტეტსმემორანდუმებიაქვსგაფორმებულისამუსიკო სასწავლებლებთან და საჯაროდაკერძოსკოლებთან(სულწარმოდგენილიიყო 9ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მემორანდუმი).<br>მემორანდუმებშიდეტალურადააგაწერილიმხარეთავალდებულებები და მათი თანამშრომლობის პერსპექტივები.მათშორის, მემორანდუმისმუხლი 1-ის 1.5პუნქტისთანახმად: უნივერსიტეტი და სკოლა განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.ამავემემორანდუმისმუხლი 1-ის 1.6პუნქტისმიხედვით:სკოლახელს შეუწყობს სტუდენტებისპრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;
- პროგრამისთვითშეფასებისანგარიში;
- პრაქტიკისკურსებისსილაბუსები;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი:http://batu.edu.ge/sub-13/news/index.html
- ინტერვიუპროგრამისხელმღვანელებთან, აკადემიურდამოწვეულპერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| მუსიკის მასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისფარგლებშიმასწავლებელსგააჩნიააკადემიურითავისუფლება, რათათავადგანსაზღვროსსწავლისშედეგებისმიღწევისათვისაუცილებელიმეთოდებიდა აქტივობები. სხვადასხვასაგნებშიძირითადადგამოყენებულიაშემდეგიმეთოდებიდააქტივობები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზემუშაობა, წერითიმუშაობა,ახსნა-განმარტებითიმეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,დისკუსია, ჯგუფურიმუშაობა, პრაქტიკულისამუშაოები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირებისმეთოდიდასხვ. აღნიშნულიმეთოდებისტუდენტებზეორიენტირებულიადაისინისრულადშეესაბამებასწავლებისსაფეხურს, კურსებისშინაარსს, სწავლისშედეგებს. კურსების სილაბუსების უმეტესობაში კარგადაა შედგენილი სასწავლო პროგრამა, ყველა შეხვედრაზე გაწერილია სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება, გამოკითხვები, ქეისების განხილვა და დისკუსიები, რაც სტუდენტის ჩართულობას კარგად უზრუნველყოფს. პროგრამაშიგამოყენებულისწავლისმეთოდებიუზრუნველყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას. აქვეუნდააღინიშნოს, რომწარმოდგენილსილაბუსებშიარგვხვდებაონლაინსწავლებისმეთოდი და არ ჩანს, როგორ შეძლებენ საჭიროების შემთხვევაში ონლაინ რეჟიმზე გადასვლას. თუმცა,როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, უნივერსიტეტმა შეძლო, ონლაინრეჟიმში სასწავლო პროცესის განხორციელება. და შესაბამისად, ამის საკმარისი გამოცდილება აქვს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;<br>• თვითშეფასებისანგარიში;<br>• კურსებისსილაბუსები;<br>• ინტერვიუებიაკადემიურპერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში, სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. გარდა ამისა, სტუდენტის შეფასების წესები განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ცალკეული სასწავლო კურსებისშემთხვევაშიკიდაკონკრეტებულიაშესაბამისსილაბუსებში. სტუდენტთაშეფასებამრავალკომპონენტიანია. შეფასებისფორმებიობიექტურიადაუზრუნველყოფსკურსისსაერთომიზნებსდასწავლისშედეგებისშეფასებას. პროგრამისფარგლებშიშეფასებისდროსგამოიყენებაიმგვარიშუალედურიდადასკვნითიშეფა

| |
|---|
| სებისფორმები, როგორიცაა: ყოველკვირეულიშეფასებები,პრეზენტაციები, ჯგუფში მუშაობის შეფასებები, წერითითუზეპირიგამოცდადასხვა.<br>უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. შეფასების გასაჩივრების წესი ცალკე დოკუმენტადაცაა ატვირთული უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ შეფასების გასაჩივრების პრეცედენტი უნივერსიტეტში არ ყოფილა.<br>მომიჯნავე სპეციალობის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროგრამის - სტუდენტებთანდაკურსდამთავრებულებთანჩატარებულიინტერვიუებითთვალსაჩინოგახ და, რომსტუდენტებიმუდმივადიღებენუკუკავშირსაკადემიურიმოსწრებისგაუმჯობესებასთან დაკავშირებულსაკითხებზე. როგორც მათ აღნიშნეს, შეფასება გამჭვირვალეა, პედაგოგები ტესტებს და შედეგებს პერსონალურად განიხილავენ სტუდენტებთან.<br>შეფასება 100-ქულიანისისტემითმიმდინარეობს. შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). შეფასებისსისტემაუშვებსხუთისახისდადებითშეფასებას:<br>(A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>(B) ძალიანკარგი – 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – 51-60 ქულა<br>და ორისახისუარყოფითშეფასებას:<br>(FX) ვერჩააბარა – 41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომსტუდენტსჩასაბარებლადმეტიმუშაობასჭირდებადაეძლევადამოუკიდებელიმუშაობით დამატებითგამოცდაზეერთხელგასვლისუფლება;<br>(F) ჩაიჭრა – 40 ქულადანაკლები, რაცნიშნავს, რომსტუდენტისმიერჩატარებულისამუშაოარარისსაკმარისიდამასსაგანიახლიდანაქვსშესასწავლი.<br>სტუდენტებისშეფასებახორციელდებადადგენილიპროცედურებისმიხედვით, ისგამჭვირვალეადაკანონმდებლობასთანშესაბამისობაშია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;
- თვითშეფასებისანგარიში;
- კურსებისსილაბუსები;
- სასწავლოპროცესისმარეგულირებელიწესი;
- შეფასების გასაჩივრების წესი. ხელმისაწვდომიავებგვერდზე:http://batu.edu.ge/upload/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98.pdf
- ინტერვიუებიაკადემიურპერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ სასწავლო და შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვის შესახებინფორმაციამიიღონფაკულტეტის, დეკანატის, დეპარტამენტების, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან, პროგრამის თანახელმძღვანელისგან და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისაგან. აკადემიური პერსონალი ლექციისა და ინდივიდუალური მეცადინეობის გარდა ატარებს კონსულტაციებს და დამატებით შეხვედრებს სტუდენტებთან. ვიზიტის დროს აღნიშნული დადასტურდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს.<br><br>მომიჯნავე პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულები ინფორმირებულები არიან პარტნიორი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი აქტივობების, ასევე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაციები და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.<br><br>ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ თავსდება საინფორმაციო დაფაზე, ვებ-გვერდზე, საჭიროებისამებრ, სტუდენტებს ინფორმირებას უწევს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა, დეკანატი, დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი.<br><br>სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ- |

| |
|---|
| მასწავლებელი.<br><br>სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის არასაუდიტორიო დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. ამ მიზნით, დეპარტამენტში შედგენილია პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი და განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ ბაზაში და დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე. ეს ინფორმაცია, სასურველია, აისახოს სილაბუსებშიც.<br><br>სტუდენტებისთვის კომუნიკაციის გაუმჯობესების და გამარტივებისათვის, რეკომენდებულია, უნივერსიტეტის დომეინით კორპორაციული ელ-ფოსტის შექმნა.<br><br>ბიბლიოთეკაში ექსკურსიის დროს გაირკვა, რომ გარკვეულად გახანგრძლივებულ პროცედურას უკავშირდება ელექტრონულ რესურსებზე წვდომა და სასურველი ინფორმაცია ადრესატთან ბიბლიოთეკის პერსონალთან ელ. ფოსტით კომუნიკაციის შედეგად იგზავნება. სასურველია, გამარტივდეს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა.<br><br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს პროფესიულიზრდისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. ეხმარებათ პრეზენტაციებისა და საკონკურსო პროექტების შემუშავებაში. სამსახური ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვას შემოქმედებით პროექტებში.<br><br>ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე სისტემატურად ხორციელდება პროექტები საკონცერტო პროგრამის სახით, როგორიცაა, მაგალითად, 2022 წლის ივნისში დადგმული ვ. ა. მოცარტის ოპერა "ბასტიენი და ბასტიენა",2021 წლის შემოდგომაზე განხორციელებული საერთშორისო პროექტი ,,მოგზაურობა ოპერის სამყაროში“, სადაც უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ვენეციის, იზმირისა და კიევისკონსერვატორიის სტუდენტები მონაწილეობდნენ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ელექტრონული სწავლების პორტალი batu.uni.ge;<br>• უსდ-ს ვებგვერდი:www.batu.edu.ge<br>• ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან და დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;<br>• შეფასების ფორმები;<br>• სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>• გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>• გასაუბრება მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- დეპარტამენტში შედგენილი პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ ბაზაში და დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე, სასურველია, აისახოს სილაბუსებშიც;
- რეკომენდებულია სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის დომეინით კორპორაციული ელ-ფოსტის შექმნა და ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე თავისუფალი წვდომის მიცემა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
|---|
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ |

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და განხორციელებას.

ნიშანდობლივია. რომ პროგრამაში ეფექტიანად ერთიანდება მისი ხელმძღვანელების - ხათუნა მანაგაძისა და თამარ ძველაიას რამდენადმე განსხვავებული პროფესიული გამოცდილება. საქმისადმი მათი დამოკიდებულება და პროფესინალიზმი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და განაპირობებს მის განხორციელებას.

,,ბხსუ-საკადემიურიდამოწვეულიპერსონალისრაოდენობისგანსაზღვრისწესით" დადგენილია, რომპროგრამისგანმახორციელებელიძირითადიპერსონალი - უნივერსიტეტისნებისმიერიფაკულტეტისაკადემიურიპერსონალი - სასურველიაშეადგენდესპროგრამისგანმახორციელებელიპერსონალის 1/3-ს. გამონაკლისიშეიძლებადაშვებულიქნასიმსაგანმანათლებლოპროგრამებისშემთხვევაში, რომელთასწავლისშედეგებიმოითხოვსსპეციფიკურიპროფესიული/პრაქტიკულიცოდნისად აუნარებისმქონეპერსონალისმოწვევას.

ამის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის განაწილება ასეთია:10-დან 2 აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს, 1 ემერიტუსია, ხოლო 7 -I კატეგორიის სპეციალისტი.

აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან თითოეულის პროფესიული გამოცდილება და შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით.

პროგრამის განვითარებისათვის, სასურველია, მესვეურებმა ხელი შეუწყონ მიწვეულ პერსონალს კარიერულ წინსვლაში. დასაზუსტებელია ასევე სხვა უსდ-ში აკადემიური პოზიციის მქონე პერსონალის სტატუსიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;
- თვითშეფასებისანგარიში;
- ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, CV
- ბხსუ-საკადემიურიდამოწვეულიპერსონალისრაოდენობისგანსაზღვრისწესი
- ბათუმისხელოვნებისსასწავლოუნივერსიტეტშიაკადემიურითანამდებობებისდასაკა ვებლადღიაკონკურსისჩატარებისწესი
- ინტერვიუებიაკადემიურპერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

- ინტერვიუებიპროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის მესვეურებმა ხელი შეუწყონ მიწვეულ პერსონალს კარიერულ წინსვლაში. დასაზუსტებელია ასევე სხვა უსდ-ში აკადემიური პოზიციის მქონე პერსონალის სტატუსიც.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და რეგულარულად ტარდება მათიშეფასება.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია და მონაწილეობს მუსიკის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებში.

აკადემიური და მოწვეულიპერსონალისგანვითარებისმიზნითყოველწლიურადტარდებატრენინგები, კონფერენციები, საჯაროლექციები, მასტერკლასები, საერთაშორისოდაადგილობრივიპროექტები, რომლებიცემსახურებაპერსონალისპროფესიულიუნარებისგანვითარებას. მაგალითად, ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის მიერ:

2021 - ვენეციისკონსერვატორიისსაერთაშორისოურთიერთობებისკოორდინატორისჩეჩილიაფრანჩინის მასტერკლასი (ერზმუსი);

2018 - „სტუდენტთა კარიერული ზრდის მხარდაჭერა“;

„სწავლის შედეგები და კომპეტენციების რუკის შედგენის მეთოდოლოგია“ - ორგანიზებული “კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის“ (APU) მხარდაჭერით.

2005 წლიდანფაკულტეტზეყოველწლიურადტარდებაფოლკლორულიდასასულიერომუსიკისსაერთაშორისოფესტივალიდასამეცნიეროკონფერენცია, 2 წელიწადში ერთხელ ტარდება სახელოვნებო მიმართულების საერთაშორისო კონფერენცია, ყოველწლიურადტარდებასაორკესტროპროექტები. ბოლო დროს ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია 2022 წლის ივნისში დადგმული ვ. ა. მოცარტის ოპერა "ბასტიენი და ბასტიენა", 2021 წლისშემოდგომაზეგანხორციელებულისაერთაშორისოპროექტი ,,მოგზაურობაოპერისსამყაროში“, სადაც უნივერსიტეტის მუსიკისფაკულტეტისსტუდენტებთანერთადვენეციის, იზმირისდაკიევისკონსერვატორიისსტუდენტებიმონაწილეობდნენ.

უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში გამოიცემა როგორც საკონფერენციო ნაშრომთა კრებულები, ასევე სამეცნიეროშრომებისკრებული „ხელოვნებათმცოდნეობითიეტიუდები“.

ამასთან ერთად, მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გადამზადება

სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა, *ელექტრონული ჟურნალის წარმოება, შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვა, მართვა და განხორციელება დისტანციურ რეჟიმში, ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ახალ სტანდარტებზე გადაყვანასთან დაკავშირებით* და ა. შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბხსუ-ის აკადემიური პერსონალის არჩევის წესი;
- პროგრამისგანმახორციელებლიპერსონალისმონაცემები;
- ბხსუ-ისმიერჩატარებულიაკადემიურიპერსონალისგამოკითხვისშედეგები;
- საერთაშორისოთანამშრომლობისდამადასტურებელიმემორანდუმები;
- ბხსუ-ისვებგვერდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტი ითვალისწინებს როგორც თეორიული მეცადინეობისათვის, ასევე მუსიკალურ-შემოქმედებითი პროცესისათვის საჭირო მოცემულობებს - გააჩნიასათანადოტექნიკით, კომპიუტერულიქსელითუზრუნველყოფილიდაინტერნეტშიჩართულიკლასი, სასწავლოაუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ფონოტეკა, საკონფერენციოდა საკონცერტო დარბაზები, თავისუფალი გადახურული სივრცე ბუნებრივი განათებით. მუსიკისფაკულტეტსგააჩნიასპეციალურადმისთვისშეძენილიმუსიკალურიინსტრუმენტები. ფონოტეკაუზრუნველყოფილია სასწავლოპროცესისთვისაუცილებელიმასალით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილიასაგანმანათლებლოპროგრამითგათვალისწინებულისავალდებულოლიტერატურა, როგორც წიგნადი, ასევესანოტო, ასევე,ელექტრონულმატარებლებზეარსებული მასალა.<br>უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.<br>აკრედიტაციის ვიზიტის დროს ყურადღება მიექცა ერთიანი ელექტრონული ბაზის და კორპორაციული მეილების სისტემის, ასევე, ბიბლიოთეკით დისტანციურად სარგებლობის საკითხებს. თუმცა უნივერსიტეტმა შეძლო პანდემიით გამოწვეული რთული პირობებისთვის თავის გართმევა, რასაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებიც ადასტურებს, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ეფექტიანი მუშაობისათვის, სასურველია, სასურველია, ამოქმედდეს კორპორაციული მეილების სისტემა, ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასაქმებულთა პირადი ფოსტაა მითითებული.<br>ასევე, სასურველია, გამარტივდეს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ექსკურსია, ინტერვიუები; |

- www.batu.edu.geOpen -ბიბლიოთეკა;
- ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, საბიბლიოთეკო წიგნადი და სანოტო ფონდის, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების ეფექტიანი მუშაობისათვის, სასურველია,

- ამოქმედდეს კორპორაციული მეილების სისტემა (აკადემიური და მოწვეული პერსონალის ელ. ფოსტის წარმოდგენილი მისამართები არაა კორპორაციული);
- გამარტივდეს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| მუსიკისმასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამაფინანსდებასაქართველოსგანათლების, მეცნიერების, კულტურისადასპორტისსამინისტროსმიერ, ასევე,სტუდენტისთვითდაფინანსებითუნივერსიტეტისერთიანბიუჯეტშიასახულიშემოსავლებისადაგასვლებისხარჯვითიკატეგორიებისმიხედვით.<br>უნივერსიტეტისბიუჯეტისხარჯვითნაწილშიგათვალისწინებულია:<br>• დასაქმებულთა შრომისანაზღაურება<br>• კომპიუტერულიტექნიკის, ინვენტარის, არსებულიინფრასტრუქტურისმოვლაშენახვა<br>• სასწავლოკურსებითგათვალისწინებულიმასალა<br>• კომუნალურიხარჯები.<br><br>პროგრამისბიუჯეტი დაგანმახორციელებელიპერსონალისანაზღაურებარეგულირდებაბხსუ-სსასწავლოპროცესებისმარეგულირებელიწესითადარექტორისსამართლებრივ-ადმინისტრაციულიაქტით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისრესურ სებითუზრუნვე ლყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| უნივერსიტეტშიხარისხისუზრუნველყოფისსამსახურსშემუშავებულიაქვსყველაარსები თიდამნიშვნელოვანირეგულაციადაწესი. სამსახურიმუშაობისპროცესშიეყრდნობასაერთაშორისომარეგულირებელწესებსადასაქა რთველოშიმოქმედსაკანონმდებლოდოკუმენტებსადარეგულაციებს. ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურიმუდმივადცდილობს,განავითაროსსწავლა-სწავლებისხარისხი. სამსახურისამუშაომეთოდოლოგიასაწყობსხარისხისუზრუნველყოფისსისტემის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“პრინციპებზე, რომლისდროსაციყენებსხარისხისფაქტობრივადყველაშესაძლომექანიზმს. შესაბამისად, საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვისადაგანვითარებისპროცესში, ხარისხისსამსახურიეყრდნობაკონკრეტულმექანიზმებსადამეთოდოლოგიას. |

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და შემდგომი განვითარების მიზნით გამოიყენება SWOT ანალიზი.უნივერსიტეტის SWOT-ანალიზს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხოლო პროგრამების SWOT-ანალიზს ადგენს პროგრამების ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამ ანალიზების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს და რეკომენდაციებს.<br>უნივერსიტეტში მოქმედებს კმაყოფილების კვლევის შეფასების სისტემა და ყველა ჩართული რგოლის კმაყოფილების დასადგენად შემუშავებულია სპეციფიკური კითხვარები. კითხვარები კარგადაა შედგენილი, თან საკმაოდ მოცულობითია. ბევრი და საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება. ინტერვიუს დროს სტუდენტებმაგვითხრეს, რომ კმაყოფილების კითხვარის შედეგები კარგად მუშაობს და გაიხსენეს რამდენიმე მაგალითიც, როცა ადმინისტრაციამ კონკრეტული საგნები არჩევითიდან ძირითადში გადაიტანაამ კითხვარით მიღებული სტუდენტების უკუკავშირის შედეგად.<br>მუსიკის მასწავლებლის მომზადებისახალისაგანმანათლებლოპროგრამისგაცნობისადაინტერვიუებისშემდგომ დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგებისა და პერსონალის შესაფასებლად მრავალფეროვან ინსტრუმენტებს იყენებს. წარმოდგენილია საკმაოდ დიდი მასალა დანართი დოკუმენტებისა და მტკიცებულების სახით.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ინსტრუმენტებიდან ზოგიერთიაღარ არის რელევანტური. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დოკუმენტი - ლექციაზე დაკვირვების ფორმა, საკმაოდ უცნაურად მოგვეჩვენა, რადგან რთულ მათემატიკურ ფორმულებს შეიცავდა. ინტერვიუს დროს განგვიმარტეს, რომ ეს ფორმა არაპრაქტიკული გამოდგა და ამჟამად აღარ ფუნქციონირებს. რადგან ამ ფორმულებს აღარ იყენებენ და ლექტორის შეფასების ფორმა გამარტივდა, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ამ ფორმის ამოღება დოკუმენტაციიდან.<br>დოკუმენტაციაში ჩართულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმიც. ეს ინსტრუმენტი გამოიყენება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ხარისხის გამოსათვლელად. თუმცა, დოკუმენტაცია სათანადოდ არ წარმოაჩენს, როგორ ხდება ამ შეფასების შედეგების ანალიზი და გათვალისწინება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- საგანმანათლებლოპროგრამისწარდგენისა და დამტკიცების წესი;
- სწავლებისხარისხისგანვითარების შესაძლებლობების შეფასებისმექანიზმები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუსშედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია:

გაიწეროს, როგორ ხდება სწავლების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და გათვალისწინება.

ლექციაზე დაკვირვების ფორმის ამოღება დოკუმენტაციიდან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებასაქვსგამოცდილებაგარეხარისხისშეფასებისპროცესებისმართვის, რაცდასტურდებაუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიაკრედიტებულისაგანმანათლებლოპროგრამებისარსებობით. გარეხარისხისშეფასებითმიღებულიშედეგები, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისანალიზისსაფუძველზე, საგანმანათლებლოპროგრამისშემდგომიგანვითარებისპროცესსედებასაფუძვლად. პროგრამის შემუშავების პროცესში განმახორციელებელმა პერსონალმა აქტიურად გამოიყენა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები.

გამომდინარეიქიდან, რომწინამდებარესაგანმანათლებლოპროგრამაახალიშემუშავებულია, მისიგარეშეფასებადამსაქმებლებისადაკურსდამთავრებულთამიერმინიმალურად მოხდა, რაცდასტურდებაინტერვიუებითაც. სასურველია, თუშემდგომშიინსტიტუციაკიდევ გამოიყენებსსაგანმანათლებლოპროგრამისგარეშეფასებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლოპროგრამა;
- ბაზრისკვლევისშედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- ინტერვიუპროგრამისგანმახორციელებელპირებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტშიხორციელდებასაგანმანათლებლოპროგრამებისმონიტორინგი, პერიოდულიშეფასება. უნივერსიტეტის თანამშრომლები მუდმივად ახორციელებენ „უნივერსიტეტის საქმიანობის თვითშეფასებას“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის გამოყენებით.<br>მუსიკის მასწავლებლის მომზადებისპროგრამისსრულყოფილიმონიტორინგიამეტაპზევერგანხორციელდებოდა, ვინაიდანსაგანმანათლებლოპროგრამაახლადაა შემუშავებული.<br>რაცშეეხებამონიტორინგისსისტემას, უნივერსიტეტსწარმოდგენილიაქვსსაგანმანათლებლოპროგრამაზემუშაობისპროცესშიმ ონიტორინგისსისტემისმინიმალურიმექანიზმებისჩართულობა (როგორიცააპოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისგამოკითხვა). სასურველია, რომ მომიჯნავე პროგრამის მსგავსად, კვლავაც განხორციელდეს საგანმანათლებლოპროგრამაზედაკვირვება, რაც შემდგომსათანადორეაგირებისსაშუალებას მისცემს პროგრამის მესვეურებს.<br><br>სასწავლო პროცესის შეფასების და პროგრამის დახვეწისადაგაუმჯობესებისმიზნით, |

| |
|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, ყოველისასწავლოკურსისბოლოს, სტუდენტებიაფასებენ (კითხვარებისმეშვეობით) აღნიშნულკურსს.ამ გამოკითხვების და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე მუშავდება და დგინდებასაგანმანათლებლოპროგრამითგანსაზღვრულიკომპეტენციებისმიღწევისდონე. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, განიხილებაასევეკურსდამთავრებულთადადამსაქმებელთაწინადადებებისაგანმანათლებლოპროგრამებშიცვლილებებისშეტანისთაობაზე, რაც, შეიძლება, გახდესსასწავლოკურსებისჩანაცვლების, ანარჩევითისასწავლოკურსებისდამატებისსაფუძველი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამა;<br>• ხარისხის მართვის სისტემის თვითშეფასების კითხვარი - უნივერსიტეტის საქმიანობის თვითშეფასება;<br>• აკადემიურიპერსონალისკმაყოფილებისკითხვარი;<br>• სასწავლოკურსისშეფასებისკითხვარი;<br>• სტუდენტთაგამოკითხვისშედეგები.<br>• ინტერვიუსშედეგები. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისხარისხ ისგანვითარებისშ ესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**
მუსიკისმასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46 გვ.**

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპ როგრამისშესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაო რგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასები | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სადეკვატურობა | | | | |
| 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუსუდან თაყაიშვილი 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ქეთევან თოდაძე 

შალვა მესხი 